ხელშეკრულება №22
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON150000016)

06 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ, სსიპ "ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო" (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის გიორგი ტატიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "დეკორი" (შემდგომში-მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით"სახელწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონის 20 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 20 მარტის #2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების აგრეთვე „2015 წლის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის #2172 განკარგულების საფუძველზე. საბეჭდი ქაღალდის 2015 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (№CON150000016) (შემდგომში-კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშერკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა , აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხის ფარგლებში ა/4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV კოდი - 30197630) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. ხელშეკრულებით გათავლისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს 656.00 (ექვსას ორმოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადის და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4. მიღებ-ჩაბარება და ანგარიშწორება

4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშ-ფაქტურით.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარისწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბეჭდი ქაღალდის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან, 2015 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე: ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N2.(იუსტიციის სახლი). მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში (3 სამუშაო დღე იგულისხმება შეკვეთის მიღებიდან მომდევნო 3 სამუშაო დღე).

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრილებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტთ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯის ანაზღაურება.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად,კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით დარჩენილი რაოდენობის 5%-ის ოდენობით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევეში.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველ ორგანიზაციას დააკისროს ჩაბარებული საქონლის 0,05% პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეული ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს,იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ,მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ.წინააღმდეგ შემთხვევაში,შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების,დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით,მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა,რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები,მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმებით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინერე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
11.2. ყველა სახის შეტყობინება საქონლის მოთხოვნა(საქონლის შეკვეთა) შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალური წერილის საფუძველძე მისამართზე ქ.თბილისი აკაკი ბელიაშვილის 157 ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე **dekori@dekori.ge**. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი12 გადასახადები და დაბეგვრა

12.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე,თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
12.2 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში

მუხლი13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი-შემსყიდველთან

მუხლი14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები:

სააგენტოს უფროსი	**დირექტორი**
---	---
გიორგი ტატიშვილი	**დიმიტრი კვეკვესკირი**

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი:

№	დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი-NAVIGATOR universal ; მწარმოებელი ქვეყანა– პორტუგალია; გრამაჟი–80(გრ/მ2) სისქე(UM)-110; სითეთრე (CIE)169; გაუმჭვირვალობა– 95%; სიკაშკაშე –112%; ზედაპირის ხაოიანობა (ML/MIN)120; შეკვრაში ფურცლების რაოდენობა –500;	შეკვრა (500 ფურცლიანი)	100	6,56	656.00
სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით					656.00 (ექვსას ორმოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

შემსყიდველი:

სსიპ „წავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“

ს/კ 206351749

მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.N2

მიმწოდებელი :

შპს „დეკორი“

ს/კ 203868635

ქ.თბილისი. ბელიაშვილის # 157

პროკრედიტ ბანკი

ა.ნ GE66PC0133600100062479

MIBGGE22

ტელ:2240505, 599100474

სააგენტოს უფროსი

გიორგი ტატიშვილი

დირექტორი

დიმიტრი კვეკვესკირი